

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
რეზიდ სერვისი

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ.თბილისი

2024

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„რეზიდ სერვისი“

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებაზე	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	4
მოგებაზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	10-20
1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები	10
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	10
5. ამონაგები	15
6. გაყიდვული საქონლის/მომსახურების თვითღირებულება	15
7. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	16
8. სხვა ხარჯები	16
9. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	17
10. მარაგი	18
11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18
12. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	19
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19
14. გაცემული სესხები	19
15. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	19
16. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	20
17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	20

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რეზიდ სერვისი“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „რეზიდ სერვისი“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალის ცვლილებას ამ თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევისა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.
- ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:
- კომპანიის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 28 სექტემბერს.

ხელმძღვანელობის სახელით:

დავითი ხარაიძე

დირექტორი

2025 წლის 28 სექტემბერი.

თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „რეზიდ სერვისი“-ს პარტნიორებსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „რეზიდ სერვისი“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „რეზიდ სერვისი“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ შპს „რეზიდ სერვისი“-საგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსსის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს „რეზიდ სერვისი“-ს ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელი არიან შპს „რეზიდ სერვისი“-ს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასსების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც

არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას. ასსების შესაბამისად აუდიტის

ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვვრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს „რეზიდ სერვისი“-ს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხო შეფასებების დასაბუთებულობისა და შესაბამისი ახსნა განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს „რეზიდ სერვისი“-ს ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს „რეზიდ სერვისი“ უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნაგანმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

შპს „რეზიდ სერვისი“-ს ხელმძღვანელობას ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს „ინტელექტაუდიტის“ სახელით (რეგ. №SARASF583489)

გარიგების პარტნიორი, აუდიტორი

ლაშა ვეფხვაძე (რეგ. № SARAS-A-730184)

28 სექტემბერი 2025 წელი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რეზიდ სერვისი“
 მოგებაზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2024 წელი	2023 წელი
ამონაგები	5	6,285,225	5,262,888
გაყიდული საქონლის/მომსახურების თვითღირებულება	6	(4,482,540)	(3,634,717)
საერთო მოგება		1,802,685	1,628,171
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(552,176)	(564,383)
სხვა ხარჯები	8	(204,215)	(117,061)
ფინანსური შემოსავალი	14	48,945	22,539
ფინანსური აქტივების გაუფასურება	11	(179,299)	(297,413)
წმინდა შემოსულობა/დანაკარგი უცხოური ვალუტის გადაფასებიდან		(28,938)	(23,664)
მოგება/ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		887,002	648,190
მოგების გადასახადი		-	-
მოგება(ზარალი) საანგარიშგებო წლისთვის		887,002	648,190

ხელმძღვანელობის სახელით:

დავითი ხარაიძე
 დირექტორი

თამარ დადელიშვილი
 მთავარი ბუღალტერი

2025 წლის 28 სექტემბერი
 თბილისი, საქართველო
 10-20 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რეზიდ სერვისი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	1,738,829	1,764,374
არამატერიალური აქტივები	9	68,282	77,051
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,807,111	1,841,425
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	10	135,744	172,625
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	2,190,190	1,833,993
მოკლევადიანი სესხი.	14	823,850	494,693
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	12	770,899	522,797
სულ მიმდინარე აქტივები		3,920,683	3,024,108
სულ აქტივები:		5,727,794	4,865,533
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1,509,464	1,509,464
გაუნაწილებელი მოგება_ზარალი		3,894,924	3,007,922
სულ საკუთარი კაპიტალი		5,404,388	4,517,387
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	13	282,079	346,717
საგადასახადო ვალდებულებები		41,327	1,430
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		323,405	348,146
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		5,727,794	4,865,533

ხელმძღვანელობის სახელით:

დავითი ხარაიძე
დირექტორი

თამარ დაღელიშვილი
მთავარი ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რეზიდ სერვისი“
 კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება_ზარალი	სულ
01.01.2023 ნაშთი	1,509,464	2,359,733	3,869,197
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	648,190	648,190
31.12.2023 ნაშთი	1,509,464	3,007,922	4,517,387
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	887,002	887,002
31.12.2024 ნაშთი	1,509,464	3,894,924	5,404,388

ხელმძღვანელობის სახელით:

დავითი ხარაიძე
 დირექტორი

თამარ დადელიშვილი
 მთავარი ბუღალტერი

2025 წლის 28 სექტემბერი
 თბილისი, საქართველო

10-20 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რეზიდ სერვისი“
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	2024 წელი	2023 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები	5,800,103	5,443,994
საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები	(2,916,683)	(3,024,343)
დაქირავებულ პირთათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები	(1,273,362)	(1,315,359)
გადახდილი გადასახადები	(903,418)	(737,200)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	706,640	367,092
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები	(166,486)	(387,916)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(166,486)	(387,916)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის გაცემა	(294,606)	-
მიღებული პროცენტები	16,182	7,940
უცხოური ვალუტის გადანაწილების შედეგად წარმოქმნილი არარეალიზებული შემოსულობა ან ზარალი	(13,627)	(12,258)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(292,051)	(4,318)
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)	248,103	(25,142)
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის დასაწყისისთვის	522,796	547,939
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	770,899	522,796

ხელმძღვანელობის სახელით:

დავითი ხარაიძე
დირექტორი

თამარ დაღლიშვილი
მთავარი ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რეზიდ სერვისი“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „რეზიდ სერვისი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2017 წლის 06 ივლისს, კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ობიექტების კომპლექსური მომსახურების გაწევა. კერძოდ: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ალექსიძის ქ., N 12-ში მდებარე მრავალფუნქციური კომპლექსის მოვლა-პატრონობა.

კომპანიის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ალექსიძის ქ., N 12, ბლოკი "ა", ბ. 8

კომპანიის დამფუძნებელი და 100 % წილის მფლობელია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რეზიდ ჰოლდინგ, ავსტრია FN 251242z., რომელის დამფუძნებელს და ერთადერთ პარტნიორს წარმოადგენს იოსებ ორჯონიკიძე.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

ა) განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ბ) გაანგარიშების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

გ) უწყვეტობის პრინციპი

ხელმძღვანელობამ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადები, მიმდინარე გეგმები, ოპერაციების მომგებიანობა და ადგილობრივ თუ საერთაშორისო ფინანსურ რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისთვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და გაურკვევლობა მისი მიზნების მისაღწევად. ხელმძღვანელობამ მოამზადა კომპანიის ფინანსური პროგნოზი ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღიდან 12 თვის განმავლობაში, რომელშიც გაითვალისწინა მოვლენათა უარყოფითი გავლენების შესაძლო სცენარები, რომელიც გულისხმობდა უარყოფითი გავლენის ისეთი დონის გამოკვლევას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის ფუნქციონირების შეწყვეტა, არსებული ეკონომიკური მდგომარეობისა და ზემოაღნიშნული ღონისძიებების სამომავლო შედეგების პროგნოზირება რთულია, ხელმძღვანელობის ამჟამინდელი მოლოდინები და შეფასებები შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის (შენიშვნა 4) გამოყენებისას ხელმძღვანელობას მოეთხოვება მსჯელობის, შეფასებებისა და დაშვებების გამოყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებების მიმართ, რომელთა ღირებულება გარკვევით ვერ მიიღება სხვა წყაროებიდან. შეფასებები და დაკავშირებული დაშვებები ემყარება წარსულ გამოცდილებას და სხვა შესაფერის ფაქტორებს.

ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა.

განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროებია;

სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის მსჯელობის საკითხია, მსგავს აქტივებთან დაკავშირებით მათ გამოცდილებაზე დაყრდნობით. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც იყენებენ ამ აქტივს. ამ გარემოებების ან შეფასებების ცვლილებამ შეიძლება განაპირობოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი. ლარში წარმოდგენილი ყოველგვარი ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია ერთეულამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

ხელმძღვანელობის სახელით:

დავითი ხარაიძე

დირექტორი

თამარ დაღელიშვილი

მთავარი ბუღალტერი

2025 წლის 28 სექტემბერი

თბილისი, საქართველო

10-20 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რეზიდ სერვისი“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავდაპირველად აღირიცხება ლარში, რომლის კონვერტაციაც ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სპოტ გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ლარის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. ყველა სხვაობა შეტანილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი გარიგების დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
1 USD/GEL	2.8068	2.6894
1 EUR/GEL	2.9306	2.9753

ამონაგების აღიარება

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა.

შემოსავლები წარდგენილია კორექტირებების, ფასდაკლებების გათვალისწინებით.

კომპანიის შემოსავლები მოიცავს კომპანიებისგან და ფიზიკური პირებისგან მიღებულ შემოსავალს.

კომპანიები - კომპანია აღიარებს შემოსავლებს კომპანიებისგან, მომსახურების დასრულების და კომპანიის მიერ დადგენილი ფასების საფუძველზე, შემოსავლების მიღება ძირითადად ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით და ელექტრონული ბარათებით.

ფიზიკური პირები - კომპანია აღიარებს შემოსავლებს ფიზიკური პირებისგან, მომსახურების დასრულების და კომპანიის მიერ დადგენილი ფასების საფუძველზე, შემოსავლების მიღება ძირითადად ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, მცირედი ნაღდი ფულით და ელექტრონული ბარათებით.

ხარჯები

კომპანიაში ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. ხარჯების კლასიფიკაცია ხდება ეკონომიკური შინაარსის მიხედვით.

დაქირავებულ პირთა ხელფასებისა და გასამჯრელობის ხარჯი

ასახულია ყველა ხელფასი, ძირითადი ხელფასები და ხელფასები ხელშეკრულებებით.

მარაგების შესყიდვის ხარჯი - გამოყენებული მარაგების რაოდენობა.

მარაგები

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების შემენის დანახარჯები მოიცავს მათი შემენის ღირებულებას, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანომ კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მარაგების შემენასთან. სავაჭრო ფასდაკლება და სხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შემენის დანახარჯების გაანგარიშებებში. კომპანიის მარაგები ძირითადად მოიცავს მედიკამენტებს და სამედიცინო სახარჯ მასალებს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შემენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია

ხელმძღვანელობის სახელით:

დავითი ხარაიძე

დირექტორი

თამარ დაღელიშვილი

მთავარი ბუღალტერი

2025 წლის 28 სექტემბერი

თბილისი, საქართველო

10-20 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რეზიდ სერვისი“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(კართული ლარში)

მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის კლებადი ნაშთის დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა კლასისათვის. პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარებულია ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯში.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია გამოყენების განსხვავებული პირობები, მაშინ ასეთი აქტივები აღირიცხება ინდივიდუალურად.

ძირითადი საშუალებების კლასების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

კლასი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობები	20-30
მანქანები და მოწყობილობები	5-10
საოფისე აღჭურვილობა	5-10
სატრანსპორტო საშუალებები	5-10

ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი გადაისინჯება ინდიკატორის არსებობის შემთხვევაში. ადრინდელი შეფასებების ცვლილების შედეგი პერსპექტიულად აღირიცხება სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით.

ძირითადი საშუალების გაყიდვიდან ან გასვლიდან მიღებული შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და მოგება-ზარალში აღიარდება.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი სასრული მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები აისახება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ამორტიზაციით და დაგროვილი გაუფასურების ზარალით. ამორტიზაცია წრფივი მეთოდით აღიარდება მომსახურების ვადის განმავლობაში. შეფასებული მომსახურების ვადა და ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაისინჯება, ხოლო შეფასების ცვლილების ნებისმიერი გავლენა პერსპექტიულად აისახება. არამატერიალური აქტივებისთვის გამოიყენება ამორტიზაციის წრფივი მეთოდი.

არამატერიალური აქტივები	სასარგებლო მომსახურების ვადა
არამატერიალური აქტივები	8-18

არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასვლისას, ან როდესაც ადარ არის მოსალოდნელი სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება მისი გამოყენების ან გასვლისგან. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობები ან ზარალი, რაც განისაზღვრება, როგორც სხვაობა გასვლის წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, მოგება-ზარალში აღიარდება აქტივის აღიარების შეწყვეტისას.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მიმოიხილავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას, რათა განსაზღვროს არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში შეფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება, რათა განისაზღვროს გაუფასურების ზარალი (თუ ასეთი არსებობს). როდესაც შეუძლებელია ინდივიდუალური აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც მიეკუთვნება ეს აქტივი. როდესაც შესაძლებელია განაწილების დასაბუთებადი და თანმიმდევრული საფუძვლის იდენტიფიცირება, კორპორაციული აქტივებიც ინდივიდუალურ ფულადი სახსრების წარმომქნელ ერთეულებზე განაწილდება, სხვა შემთხვევაში ისინი მიეკუთვნება უმცირეს ფულადი სახსრების წარმომქნელ ერთეულს, რომლისთვისაც შესაძლებელი იქნება განაწილების დასაბუთებული და თანმიმდევრული საფუძვლის იდენტიფიცირება.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შეფასებისას სამომავლო ფულადი ნაკადები დისკონტირდება დაბეგრამდე დისკონტირების განაკვეთით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებსა და იმ აქტივისთვის სპეციფიკურ რისკებს, რომლის სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასება შესწორებული არ არის.

ხელმძღვანელობის სახელით:

დავითი ხარაიძე

დირექტორი

თამარ დადელიშვილი

მთავარი ბუღალტერი

2025 წლის 28 სექტემბერი

თბილისი, საქართველო

10-20 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რეზიდ სერვისი“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(კართულ ლარში)

თუ განისაზღვრება, რომ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

თუ მომავალში გაუფასურების ზარალი ანულირდება, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებამდე, ისე რომ, გაზრდილმა საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალი რომ არ აღიარებულობო გასულ წლებში. გაუფასურების ზარალის ანულირება დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 1,509,464 ლარს.

დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდეგი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნებში.

გადასახადები

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც სხვა გადასახადები სრული შემოსავლის ანგარიშგების სხვა არასაოპერაციო ხარჯებში, მათი გაწევის შემთხვევაში.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი (საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას) მოვლენა. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღიარდება, როდესაც კომპანია ამ ინსტრუმენტების ხელშეკრულების მხარე ხდება. თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტები ფასდება გარიგების ფასით.

კომპანიის ძირითად ფინანსურ აქტივებს წარმოადგენს ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება.

ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

ხელმძღვანელობის სახელით:

დავითი ხარაიძე

დირექტორი

თამარ დადელიშვილი

მთავარი ბუღალტერი

2025 წლის 28 სექტემბერი

თბილისი, საქართველო

10-20 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რეზიდ სერვისი“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით. მოკლევადიანი დებიტორული დავალიანება, რომელსაც პროცენტი არ ერიცხება, ნომინალური ღირებულებით აისახება.

იმ მიზნით, რომ ყოველი წლის ბოლოს კომპანიამ შეძლოს მოთხოვნების სწორი ანალიზი და შექმნას ხანდაზმული მოთხოვნების რეზერვი, კომპანია ატარებს გაუფასურების ანალიზს. გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას თუ რამდენად მიიღებს გარკვეული კლიენტისგან დავალიანებულ თანხას.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს, როდესაც აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლების ვადა ამოიწურება ან როდესაც ფინანსურ აქტივსა და მის საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები (ნასესხები თანხები, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები) შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, საბაზრო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც კომპანიის მოვალეობები შესრულებულია, გაუქმებულია ან ვადაგასულია. აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ კომპენსაციას შორის სხვაობა მოგება-ზარალში აღიარდება.

იჯარა

ფინანსური იჯარა

კომპანია იჯარას აკლასიფიცირებს ფინანსურ იჯარად, თუ შეთანხმება ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

კომპანია როგორც მოიჯარე -

ფინანსური იჯარით მიღებული აქტივის გამოყენების უფლება აღიარდება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგება როგორც ძირითადი საშუალება. აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, რადგან შეთანხმების თანახმად საკუთრების უფლება გადმოეცემა კომპანიას. ფინანსური იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ყოველთვიურად.

საოპერაციო იჯარა

კომპანია იჯარას აკლასიფიცირებს საოპერაციო იჯარად, თუ შეთანხმება არ ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

კომპანიას საოპერაციო იჯარით გაცემული აქვს მთავარი შენობის ძალზედ მცირე ნაწილი და მიწის ასევე მცირე ნაწილი. ფართობის უმნიშვნელობის გამო საოპერაციო იჯარით გაცემული ნაწილი არ არის გამოყოფილი მთლიანი აქტივიდან და კლასიფიცირებულია ძირითად საშუალებად. გარდა ამისა, კომპანიას საოპერაციო იჯარით აქვს გაცემული 30 კვ.მ ფართობის შენობა, რომელიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში კლასიფიცირებულია საინვესტიციო ქონებად.

კომპანია როგორც მეიჯარე -

საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მისი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. იმის დასადგენად, გაუფასურდა თუ არა იჯარით გაცემული აქტივი, მეიჯარე იყენებს 27-ე განყოფილების მოთხოვნებს.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. კომპანიაში ანარიცხი აღიარდება, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება

ხელმძღვანელობის სახელით:

დავითი ხარაიძე

დირექტორი

თამარ დაღელიშვილი

მთავარი ბუღალტერი

2025 წლის 28 სექტემბერი

თბილისი, საქართველო

10-20 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რეზიდ სერვისი“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

წარსული მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა; და შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება.

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. თუმცა ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში მოსალოდნელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმენება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

5. ამონაგები

	2024 წელი	2023 წელი
შემოსავალი მომსახურების საფასასურიდან	4,675,640	3,953,624
შემოსავალი კომუნალურების საფასურიდან	899,738	932,742
შემოსავალი დასუფთვების საფასურიდან	232,411	216,589
შემოსავალი გაქირავებიდან	67,369	51,694
შემოსავალი იჯარიდან	73,269	79,838
შემოსავალი ავტოსამრეცხაოდან	45,573	18,586
შემოსავალი პარკინგიდან	79,833	9,815
მომსახურება სარემონტო სამუშაოების დროს	211,393	-
სულ	6,285,225	5,262,888

შემოსავალი მომსახურებიდან წარმოადგენს კომპლექსის მოვლა პატრონობიდან მიღებულ თანხებს.

6. გაყიდვითი საქონლის/მომსახურების თვითღირებულება

	2024 წელი	2023 წელი
ხელფასი	1,416,677	1,265,562
ელექტრო ენერგია	959,568	997,270
გაზი	472,144	485,852
ნედლეული და მასალები	445,394	275,941
სამეურნეო ხარჯი	510,149	248,091
წყალი	338,198	235,602
ლიფტების მომსახურება	157,711	43,019
აპლიკაციის ხარჯი	87,585	-
გარე ფასადის წმენდა	40,725	42,678
დასუფთავება	39,856	13,675
საიჯარო ქირა	10,170	10,170
დაცვის ხარჯი	3,432	4,195
მცენარეების მოვლის სამუშაოები	932	-
დიზელ გენერატორის ხარჯი	-	12,662
სულ გაყიდვითი საქონლის/მომსახურების თვითღირებულება	4,482,540	3,634,717

ხელმძღვანელობის სახელით:

დავითი ხარაიძე

დირექტორი

თამარ დაღელიშვილი

მთავარი ბუღალტერი

2025 წლის 28 სექტემბერი

თბილისი, საქართველო

10-20 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რეზიდ სერვისი“
 ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)

7. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024 წელი	2023 წელი
შრომის ანაზღაურება	339,032	396,632
ცვეთა	175,404	133,481
ქონების გადასახადი	17,389	16,968
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	15,000	15,000
კომუნიკაციის ხარჯი	5,350	2,301
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	552,176	564,383

8. სხვა ხარჯები

	2024 წელი	2023 წელი
მომსახურების ხარჯები	71,626	80,791
კომპიუტერული მომსახურების ხარჯი	45,582	108
სხვა საერთო ხარჯი	34,357	7,927
ბანკის მომსახურების ხარჯი	29,306	13,002
წარმომადგენლობითი ხარჯი	11,719	2,078
უნიფორმების ხარჯი	7,520	3,709
დაზღვევის ხარჯი	2,218	1,730
საკანცელარიო ხარჯები	1,862	1,508
ბარათების ხარჯი	26	6,115
რემონტის ხარჯი	-	93
სულ სხვა ხარჯი	204,215	117,061

ხელმძღვანელობის სახელით:

დავითი ხარაიძე	თამარ დადელიშვილი
დირექტორი	მთავარი ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რეზიდ სერვისი“
ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

9. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

	შენიშვნები	მანქანები და მოწყობილობები	საოფისე აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	არამატერიალური აქტივები	სულ
საბალანსო ღირებულება						
დეკემბერი 31, 2022	1,509,464	126,529	62,518	82,443	5,364	1,786,318
მატება	-	221,269	4,078	18,288	85,107	328,742
კლება	-	-	(4,557)	-	-	(4,557)
დეკემბერი 31, 2023	1,509,464	347,798	62,040	100,731	90,472	2,110,504
მატება	-	129,121	9,867	-	2,102	141,090
კლება	-	-	-	-	-	-
დეკემბერი 31, 2024	1,509,464	476,919	71,907	100,731	92,573	2,251,594
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება						
დეკემბერი 31, 2022	(10,959)	(35,758)	(33,236)	(51,356)	(4,288)	(135,598)
მიმდინარე წლის ცვეთა	(83,170)	(3,456)	(17,172)	(20,551)	(9,132)	(133,482)
ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე	-	-	-	-	-	-
დეკემბერი 31, 2023	(94,129)	(39,214)	(50,409)	(71,907)	(13,421)	(269,079)
მიმდინარე წლის ცვეთა	(71,179)	(79,108)	(7,583)	(6,662)	(10,871)	(175,404)
ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე	-	-	-	-	-	-
დეკემბერი 31, 2024	(165,308)	(118,322)	(57,992)	(78,569)	(24,292)	(444,484)
ნარჩენი ღირებულება						
დეკემბერი 31, 2022	1,498,505	90,770	29,282	31,087	1,076	1,650,721
დეკემბერი 31, 2023	1,415,335	308,584	11,631	28,824	77,051	1,841,425
დეკემბერი 31, 2024	1,344,156	358,597	13,914	22,162	68,282	1,807,111

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი) (ა) მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე; (ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან; (გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რისი ვალ-დებულებაც საწარმომ აიღო შეძენის მომენტში, ან შემდეგში. ვინაიდან მოსალოდნელია გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა გადააჭარბებს აქტივისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებას, არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.

ძირითადი საშუალებების ცვეთა ასახულია ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯებში 175,404 ლარი (2023 წელს - 133,481ლარი).

ხელმძღვანელობის სახელით:

დავითი ხარაიძე
დირექტორი

თამარ დადელიშვილი
მთავარი ბუღალტერი

10. მარაგი

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	39,300	70,649
ნედლეული და მასალები.	96,443	101,976
ჯამი	135,744	172,625
პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულება	445,394	275,941

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო დებიტორები	2,356,861	2,008,556
გაუფასურების ზარალის თანხა	(507,633)	(328,334)
მოთხოვნები ფინანსური აქტივებიდან	1,849,229	1,680,222
მ.შ. დაკავშირებული მხარეებისაგან მისაღები	611,600	958,326
სხვა მხარეებისაგან მისაღები	1,237,629	721,896
წინასწარი გადახდები	340,962	153,771
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,190,190	1,833,993

საწარმო იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად მომსახურების ვადის განმავლობაში ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დაჯგუფებულია საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებისა და ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი ეფუძნება კლიენტების გადახდების ანალიზს და შესაბამის ისტორიულ საკრედიტო ზარალს, რომელიც ამ პერიოდის განმავლობაშია მიღებული. საკრედიტო ზარალის რეზერვი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისათვის განისაზღვრება ქვემოთ წარდგენილი რეზერვის მატრიცის მიხედვით. რეზერვის მატრიცა ემყარება აქტივის ვადაგადაცილების დღეების რაოდენობას.

2023 წლის სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანალიზი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით არის:

2023	ზარალის განაკვეთი	ბრუტო საბალანსო ღირებულება	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	ნეტო საბალანსო ღირებულება
მიმდინარე, რომელიც არ არის გაუფასურებული	0%	164,138	-	164,138
90 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	5%	236,083	11,804	224,279
90-180 დღის ვადაგადაცილება	15%	41,746	6,262	35,484
180-365 დღის ვადაგადაცილება	50%	21,215	10,608	10,608
1 წელზე მეტი ვადაგადაცილება	100%	299,660	299,660	-
ინდივიდუალური შეფასება	0%	1,725,807	-	1,725,807
სულ		2,488,650	328,334	2,160,317

2024 წლის სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანალიზი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით არის:

2024	ზარალის განაკვეთი	ბრუტო საბალანსო ღირებულება	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	ნეტო საბალანსო ღირებულება
მიმდინარე, რომელიც არ არის გაუფასურებული	0%	132,355	-	132,355
90 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	5%	382,924	19,146	363,778
90-180 დღის ვადაგადაცილება	15%	77,969	11,695	66,274
180-365 დღის ვადაგადაცილება	50%	88,277	44,139	44,139
1 წელზე მეტი ვადაგადაცილება	100%	432,652	432,652	-
ინდივიდუალური შეფასება	0%	735,050	-	735,050
სულ		1,849,229	507,633	1,341,596

ხელმძღვანელობის სახელით:

დავითი ხარაიძე
დირექტორი

თამარ დადელიშვილი
მთავარი ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რეზიდ სერვისი“
ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ახსნილია საკრედიტო ზარალის რეზერვის ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნისთვის გამარტივებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის შემთხვევაში, წლიური პერიოდის დასაწყისსა და დასასრულს შორის

	2024 წელი	2023 წელი
საწყისი გაუფასურება	328,334	30,921
მიმდინარე პერიოდის გაუფასურების ხარჯი	179,299	297,413
ჯგუფური გაუფასურება	507,633	328,334

12. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ფულადი სახსრები სალაროში	2,142	2,168
ფულადი სახსრები ბანკის მიმდინარე ანგარიშებზე	768,757	520,629
სულ ფულადი სახსრები და ეკვივალენტები	770,899	522,797

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	250,082	196,146
სხვა მომწოდებლებისათვის გადასახდელი	250,082	196,146
წინასწარ მიღებული თანხები	31,996	150,571
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	282,079	346,717

14. გაცემული სესხები

გაცემული სესხი წარმოადგენს ეროვნულ ვალუტაში დაკავშირებულ მხარეზე გაცემულ სესხებს, რომლებზეც საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 10 %. სესხი გაცემულია ერთი წლის ვადით და დასაფარია პერიოდის ბოლოს.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული მიღებული სესხები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მოკლევადიანი სესხები	774,700	480,094
მოკლევადიან სესხზე გადასახდელი პროცენტი	49,150	14,599
ჯამი	823,850	494,693

გაცემულ სესხებზე საპროცენტო შემოსავალმა შეადგინა: 2024 წელს 48,945 ლარი (2023 წელს 22,539 ლარი).

15. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა, როდესაც ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

ნაშთები და ოპერაციები კომპანიის დაკავშირებულ მხარეებთან მოიცავს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელ პირებსა და სხვა დაკავშირებულ მხარეებს.

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირები შედგება დირექტორებისგან, ხოლო სხვა დაკავშირებული მხარეები კომპანიებისაგან, რომლებშიც ფლობენ წილებს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირები, ან იკავებენ მმართველობით პოზიციებს.

გაყიდვები დაკავშირებულ მხარეებზე	2024	2023
საქონლის გაყიდვა/მომსახურების გაწევა	292,749	1,070,264
მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებზე		
სავაჭრო მოთხოვნები	611600	958,326
შესყიდვები დაკავშირებულ მხარეებიდან	2024	2023

ხელმძღვანელობის სახელით:

დავითი ხარაიძე
დირექტორი

თამარ დადელიშვილი
მთავარი ბუღალტერი

2024 წლის 28 სექტემბერი

თბილისი, საქართველო

10-20 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. 19

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რეზიდ სერვისი“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

საქონლის შესყიდვა მომსახურების მიღება	17,855	14,174
სასესხო მოთხოვნები პერიოდის ბოლოს მდგომარეობით	2024	2023
სასესხო მოთხოვნები პერიოდის ბოლოს მდგომარეობით	823,850	494,693
გაცემული სესხები დარიცხული პროცენტი მზარეზე	2024	2023
საპროცენტო შემოსავალი	48,945	22,539
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურების (კომპენსაციის) მთლიანი თანხა	339,032	396,632

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი. 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთ-უკრაინის საზღვართან დაჯგუფების შემდეგ რუსულმა სამხედრო ძალებმა გადაჭრეს საზღვარი. ხსენებული კონფლიქტი წარმოადგენს უდიდეს სამხედრო შეტაკებას ევროპის სახელმწიფოში მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ. ამ მოვლენამ გამოიწვია ლტოლვილების კრიზისი ევროპაში, რადგან ომის დაწყების შემდეგ მილიონობით უკრაინელმა დატოვა თავისი სამშობლო. უკრაინასთან ომის გამო ბევრმა წამყვანმა სახელმწიფომ და ეკონომიკურმა კავშირმა მწვავე ეკონომიკური სანქციები დაუწესა რუსეთს და აღინიშნა რუსული რუბლის მნიშვნელოვანი გაუფასურება უცხოურ ვალუტასთან მიმართებით, აგრეთვე დაეცა ფასი მნიშვნელოვნად ფასიან ქაღალდებზე რუსულ ბაზრებზე და სხვა ბაზრებზე არსებულ რუსული კომპანიების შემთხვევაში. ბევრმა კომპანიამ თავისი ბიზნესი რუსეთიდან ბელარუსში გადაიტანა. სიტუაცია კვლავ რთულია. მან უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზარალი უკრაინაში, რუსეთში და დანარჩენ მსოფლიოში.

კომპანია უკრაინაში არსებულ კონფლიქტს მიიჩნევს არაკორექტირებად მოვლენად, რომელიც ბალანსის შედგენის შემდგომ მიმდინარეობს. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მას არ ექნება საგრძნობი გავლენა კომპანიის საქმიანობაზე.

რადგან კონფლიქტი გრძელდება, ძნელია იმ სრული გავლენის შეფასება, რომელიც მას შესაძლოა ქონდეს კომპანიის საქმიანობაზე, რადგან გაურკვეველია მისი გავლენა ეკონომიკაზე ზოგადად. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება ეკონომიკურ სიტუაციას არსებულ გარემოში.

17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2025 წლის 28 სექტემბერი.

ხელმძღვანელობის სახელით:

დავითი ხარაიძე
დირექტორი

თამარ დადელიშვილი
მთავარი ბუღალტერი

2024 წლის 28 სექტემბერი

თბილისი, საქართველო

10-20 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. 20

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
რეზიდ სერვისი

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ.თბილისი

2024

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„რეზიდ სერვისი“

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებაზე	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	4
მოგებაზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	10-20

1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები	10
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	10
5. ამონაგები	15
6. გაყიდული საქონლის/მომსახურების თვითღირებულება	15
7. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	16
8. სხვა ხარჯები	16
9. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	17
10. მარაგი	18
11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18
12. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	19
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19
14. გაცემული სესხები	19
15. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	19
16. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	20
17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	20

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რეზიდ სერვისი“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „რეზიდ სერვისი“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალის ცვლილებას ამ თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევისა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.
- ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:
- კომპანიის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 28 სექტემბერს.

ხელმძღვანელობის სახელით:

დავითი ხარაიძე

დირექტორი

2025 წლის 28 სექტემბერი.

თბილისი, საქართველო



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „რეზიდ სერვისი“-ს პარტნიორობა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „რეზიდ სერვისი“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „რეზიდ სერვისი“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ შპს „რეზიდ სერვისი“-საგან ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსსის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს „რეზიდ სერვისი“-ს ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან შპს „რეზიდ სერვისი“-ს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასსების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც

არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას. ასსების შესაბამისად აუდიტის

ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს „რეზიდ სერვისი“-ს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობისა და შესაბამისი ახსნა განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს „რეზიდ სერვისი“-ს ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს „რეზიდ სერვისი“ უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნაგანმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

შპს „რეზიდ სერვისი“-ს ხელმძღვანელობას ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს „ინტელექტაუდიტის“ სახელით (რეგ. №SARASF583489)

გარიგების პარტნიორი, აუდიტორი

ლაშა ვეფხვაძე (რეგ. № SARAS-A-730184)

28 სექტემბერი 2025 წელი



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რეზიდ სერვისი“
 მოგებაზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2024 წელი	2023 წელი
ამონაგები	5	6,285,225	5,262,888
გაყიდული საქონლის/მომსახურების თვითღირებულება	6	(4,482,540)	(3,634,717)
საერთო მოგება		1,802,685	1,628,171
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(552,176)	(564,383)
სხვა ხარჯები	8	(204,215)	(117,061)
ფინანსური შემოსავალი	14	48,945	22,539
ფინანსური აქტივების გაუფასურება	11	(179,299)	(297,413)
წმინდა შემოსულობა/დანაკარგი უცხოური ვალუტის გადაფასებიდან		(28,938)	(23,664)
მოგება/ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		887,002	648,190
მოგების გადასახადი		-	-
მოგება(ზარალი) საანგარიშგებო წლისთვის		887,002	648,190

ხელმძღვანელობის სახელით:

დავითი ხარაიძე
 დირექტორი

2025 წლის 28 სექტემბერი
 თბილისი, საქართველო

10-20 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

თამარ დადელიშვილი
 მთავარი ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რეზიდ სერვისი“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	1,738,829	1,764,374
არამატერიალური აქტივები	9	68,282	77,051
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,807,111	1,841,425
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	10	135,744	172,625
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	2,190,190	1,833,993
მოკლევადიანი სესხი.	14	823,850	494,693
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	12	770,899	522,797
სულ მიმდინარე აქტივები		3,920,683	3,024,108
სულ აქტივები:		5,727,794	4,865,533
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1,509,464	1,509,464
გაუნაწილებელი მოგება_ზარალი		3,894,924	3,007,922
სულ საკუთარი კაპიტალი		5,404,388	4,517,387
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	13	282,079	346,717
საგადასახადო ვალდებულებები		41,327	1,430
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		323,405	348,146
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		5,727,794	4,865,533

ხელმძღვანელობის სახელით:

დავითი ხარაიძე
 დირექტორი



თამარ დადელიშვილი
 მთავარი ბუღალტერი

2025 წლის 28 სექტემბერი
 თბილისი, საქართველო
 10-20 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რეზიდ სერვისი“
 კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება_ზარალი	სულ
01.01.2023 ნაშთი	1,509,464	2,359,733	3,869,197
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	648,190	648,190
31.12.2023 ნაშთი	1,509,464	3,007,922	4,517,387
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	887,002	887,002
31.12.2024 ნაშთი	1,509,464	3,894,924	5,404,388

ხელმძღვანელობის სახელით:

დავითი ხარაიძე
 დირექტორი

2025 წლის 28 სექტემბერი
 თბილისი, საქართველო
 10-20 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

თ. დ. ლომიძე
 თამარ დადელიშვილი
 მთავარი ბუღალტერი



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რეზიდ სერვისი“
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)

	2024 წელი	2023 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები	5,800,103	5,443,994
საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები	(2,916,683)	(3,024,343)
დაქირავებულ პირთათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები	(1,273,362)	(1,315,359)
გადახდილი გადასახადები	(903,418)	(737,200)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	706,640	367,092
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები	(166,486)	(387,916)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(166,486)	(387,916)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის გაცემა	(294,606)	-
მიღებული პროცენტები	16,182	7,940
უცხოური ვალუტის გადაანგარიშების შედეგად წარმოქმნილი არარეალიზებული შემოსულობა ან ზარალი	(13,627)	(12,258)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(292,051)	(4,318)
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)	248,103	(25,142)
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის დასაწყისისთვის	522,796	547,939
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	770,899	522,796

ხელმძღვანელობის სახელით:

დავითი ხარაიძე
 დირექტორი

2025 წლის 28 სექტემბერი
 თბილისი, საქართველო

10-20 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



თ. დელიშვილი
 თამარ დადელიშვილი
 მთავარი ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რეზიდ სერვისი“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავდაპირველად აღირიცხება ლარში, რომლის კონვერტაციაც ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სპოტ გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ლარის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. ყველა სხვაობა შეტანილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი გარიგების დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
1 USD/GEL	2.8068	2.6894
1 EUR/GEL	2.9306	2.9753

ამონაგების აღიარება

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა.

შემოსავლები წარდგენილია კორექტირებების, ფასდაკლებების გათვალისწინებით.

კომპანიის შემოსავლები მოიცავს კომპანიებისგან და ფიზიკური პირებისგან მიღებულ შემოსავალს.

კომპანიები - კომპანია აღიარებს შემოსავლებს კომპანიებისგან, მომსახურების დასრულების და კომპანიის მიერ დადგენილი ფასების საფუძველზე, შემოსავლების მიღება ძირითადად ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით და ელექტრონული ბარათებით.

ფიზიკური პირები - კომპანია აღიარებს შემოსავლებს ფიზიკური პირებისგან, მომსახურების დასრულების და კომპანიის მიერ დადგენილი ფასების საფუძველზე, შემოსავლების მიღება ძირითადად ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, მცირედი ნაღდი ფულით და ელექტრონული ბარათებით.

ხარჯები

კომპანიაში ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. ხარჯების კლასიფიკაცია ხდება ეკონომიკური შინაარსის მიხედვით.

დაქირავებულ პირთა ხელფასებისა და გასამჯრელოების ხარჯი

ასახულია ყველა ხელფასი, ძირითადი ხელფასები და ხელფასები ხელშეკრულებებით.

მარაგების შესყიდვის ხარჯი - გამოყენებული მარაგების რაოდენობა.

მარაგები

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების შემენის დანახარჯები მოიცავს მათი შემენის ღირებულებას, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანომ კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მარაგების შემენასთან. სავაჭრო ფასდაკლება და სხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შემენის დანახარჯების გაანგარიშებებში. კომპანიის მარაგები ძირითადად მოიცავს მედიკამენტებს და სამედიცინო სახარჯ მასალებს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შემენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია

ხელმძღვანელობის სახელით:

დავითი ხარაიძე
დირექტორი

თამარ დაღლიშვილი
მთავარი ბუღალტერი

2025 წლის 28 სექტემბერი

თბილისი, საქართველო

10-20 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რეზიდ სერვისი“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის კლებადი ნაშთის დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა კლასისათვის. პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარებულია ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯში.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია გამოყენების განსხვავებული პირობები, მაშინ ასეთი აქტივები აღირიცხება ინდივიდუალურად.

ძირითადი საშუალებების კლასების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

კლასი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობები	20-30
მანქანები და მოწყობილობები	5-10
საოფისე აღჭურვილობა	5-10
სატრანსპორტო საშუალებები	5-10

ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი გადაისინჯება ინდიკატორის არსებობის შემთხვევაში. ადრინდელი შეფასებების ცვლილების შედეგი პერსპექტიულად აღირიცხება სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით.

ძირითადი საშუალების გაყიდვიდან ან გასვლიდან მიღებული შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და მოგება-ზარალში აღიარდება.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი სასრული მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები აისახება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ამორტიზაციით და დაგროვილი გაუფასურების ზარალით. ამორტიზაცია წრფივი მეთოდით აღიარდება მომსახურების ვადის განმავლობაში. შეფასებული მომსახურების ვადა და ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაისინჯება, ხოლო შეფასების ცვლილების ნებისმიერი გავლენა პერსპექტიულად აისახება. არამატერიალური აქტივებისთვის გამოიყენება ამორტიზაციის წრფივი მეთოდი.

არამატერიალური აქტივები	სასარგებლო მომსახურების ვადა
	8-18

არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასვლისას, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება მისი გამოყენების ან გასვლისგან. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობები ან ზარალი, რაც განისაზღვრება, როგორც სხვაობა გასვლის წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, მოგება-ზარალში აღიარდება აქტივის აღიარების შეწყვეტისას.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მიმოიხილავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას, რათა განსაზღვროს არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში შეფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება, რათა განისაზღვროს გაუფასურების ზარალი (თუ ასეთი არსებობს). როდესაც შეუძლებელია ინდივიდუალური აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც მიეკუთვნება ეს აქტივი. როდესაც შესაძლებელია განაწილების დასაბუთებადი და თანმიმდევრული საფუძვლის იდენტიფიცირება, კორპორაციული აქტივებიც ინდივიდუალურ ფულადი სახსრების წარმომქნელ ერთეულებზე განაწილდება, სხვა შემთხვევაში ისინი მიეკუთვნება უმცირეს ფულადი სახსრების წარმომქნელ ერთეულს, რომლისთვისაც შესაძლებელი იქნება განაწილების დასაბუთებული და თანმიმდევრული საფუძვლის იდენტიფიცირება.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შეფასებისას სამომავლო ფულადი ნაკადები დისკონტირდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებსა და იმ აქტივისთვის სპეციფიკურ რისკებს, რომლის სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასება შესწორებული არ არის.

ხელმძღვანელობის სახელით:

დავითი ხარაიძე
დირექტორი



თამარ დაღლიშვილი
თამარ დაღლიშვილი
მთავარი ბუღალტერი

2025 წლის 28 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

10-20 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რეზიდ სერვისი“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

თუ განისაზღვრება, რომ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

თუ მომავალში გაუფასურების ზარალი ანულირდება, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებამდე, ისე რომ, გაზრდილმა საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალი რომ არ აღიარებულიყო გასულ წლებში. გაუფასურების ზარალის ანულირება დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შეესვებოდა დამფუძნებლების მიერ.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 1,509,464 ლარს.

დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდეგი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნებში.

გადასახადები

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც სხვა გადასახადები სრული შემოსავლის ანგარიშგების სხვა არასაოპერაციო ხარჯებში, მათი გაწევის შემთხვევაში.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი (საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას) მოვლენა. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღიარდება, როდესაც კომპანია ამ ინსტრუმენტების ხელშეკრულების მხარე ხდება. თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტები ფასდება გარიგების ფასით.

კომპანიის ძირითად ფინანსურ აქტივებს წარმოადგენს ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება.

ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულის სალაროში და მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

ხელმძღვანელობის სახელით:

დავითი ხარაიძე
დირექტორი



თამარ დაღლიშვილი
მთავარი ბუღალტერი

2025 წლის 28 სექტემბერი

თბილისი, საქართველო

10-20 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რეზიდ სერვისი“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით. მოკლევადიანი დებიტორული დავალიანება, რომელსაც პროცენტი არ ერიცხება, ნომინალური ღირებულებით აისახება.

იმ მიზნით, რომ ყოველი წლის ბოლოს კომპანიამ შეძლოს მოთხოვნების სწორი ანალიზი და შექმნას ხანდაზმული მოთხოვნების რეზერვი, კომპანია ატარებს გაუფასურების ანალიზს. გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას თუ რამდენად მიიღებს გარკვეული კლიენტისგან დავალიანებულ თანხას.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს, როდესაც აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლების ვადა ამოიწურება ან როდესაც ფინანსურ აქტივსა და მის საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები (ნასესხები თანხები, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები) შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, საბაზრო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც კომპანიის მოვალეობები შესრულებულია, გაუქმებულია ან ვადაგასულია. აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ კომპენსაციას შორის სხვაობა მოგება-ზარალში აღიარდება.

იჯარა

ფინანსური იჯარა

კომპანია იჯარას აკლასიფიცირებს ფინანსურ იჯარად, თუ შეთანხმება ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

კომპანია როგორც მოიჯარე -

ფინანსური იჯარით მიღებული აქტივის გამოყენების უფლება აღიარდება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდება როგორც ძირითადი საშუალება. აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, რადგან შეთანხმების თანახმად საკუთრების უფლება გადმოეცემა კომპანიას. ფინანსური იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ყოველთვიურად.

საოპერაციო იჯარა

კომპანია იჯარას აკლასიფიცირებს საოპერაციო იჯარად, თუ შეთანხმება არ ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

კომპანიას საოპერაციო იჯარით გაცემული აქვს მთავარი შენობის ძალზედ მცირე ნაწილი და მიწის ასევე მცირე ნაწილი. ფართობის უმნიშვნელობის გამო საოპერაციო იჯარით გაცემული ნაწილი არ არის გამოყოფილი მთლიანი აქტივიდან და კლასიფიცირებულია ძირითად საშუალებად. გარდა ამისა, კომპანიას საოპერაციო იჯარით აქვს გაცემული 30 კვ.მ ფართობის შენობა, რომელიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში კლასიფიცირებულია საინვესტიციო ქონებად.

კომპანია როგორც მეიჯარე -

საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მისი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. იმის დასადაგენად, გაუფასურდა თუ არა იჯარით გაცემული აქტივი, მეიჯარე იყენებს 27-ე განყოფილების მოთხოვნებს.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. კომპანიაში ანარიცხი აღიარდება, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება

ხელმძღვანელობის სახელით:

დავითი ხარაძე
დირექტორი

2025 წლის 28 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

10-20 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

თამარ დაღლიშვილი
მთავარი ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რეზიდ სერვისი“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

წარსული მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განიცემული რესურსების გასვლა; და შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება.

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. თუმცა ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში მოსალოდნელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

5. ამონაგები

	2024 წელი	2023 წელი
შემოსავალი მომსახურების საფასურიდან	4,675,640	3,953,624
შემოსავალი კომუნალურების საფასურიდან	899,738	932,742
შემოსავალი დასუფთავების საფასურიდან	232,411	216,589
შემოსავალი გაქირავებიდან	67,369	51,694
შემოსავალი იჯარიდან	73,269	79,838
შემოსავალი ავტოსამრეცხაოდან	45,573	18,586
შემოსავალი პარკინგიდან	79,833	9,815
მომსახურება სარემონტო სამუშაოების დროს	211,393	
სულ	6,285,225	5,262,888

შემოსავალი მომსახურებიდან წარმოადგენს კომპლექსის მოვლა პატრონობიდან მიღებულ თანხებს.

6. გაყიდული საქონლის/მომსახურების თვითღირებულება

	2024 წელი	2023 წელი
ხელფასი	1,416,677	1,265,562
ელექტრო ენერგია	959,568	997,270
გაზი	472,144	485,852
ნედლეული და მასალები	445,394	275,941
სამეურნეო ხარჯი	510,149	248,091
წყალი	338,198	235,602
ლიფტების მომსახურება	157,711	43,019
აპლიკაციის ხარჯი	87,585	-
გარე ფასადის წმენდა	40,725	42,678
დასუფთავება	39,856	13,675
საიჯარო ქირა	10,170	10,170
დაცვის ხარჯი	3,432	4,195
მცენარეების მოვლის საშუალებები	932	
დიზელ გენერატორის ხარჯი	-	12,662
სულ გაყიდული საქონლის/მომსახურების თვითღირებულება	4,482,540	3,634,717

ხელმძღვანელობის სახელით:

დავითი ხარაიძე
დირექტორი

2025 წლის 28 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

10-20 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



თაბაგარი ბულალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რეზიდ სერვისი“
 ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)

7. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024 წელი	2023 წელი
შრომის ანაზღაურება	339,032	396,632
ცვეთა	175,404	133,481
ქონების გადასახადი	17,389	16,968
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	15,000	15,000
კომუნიკაციის ხარჯი	5,350	2,301
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	552,176	564,383

8. სხვა ხარჯები

	2024 წელი	2023 წელი
მომსახურების ხარჯები	71,626	80,791
კომპიუტერული მომსახურების ხარჯი	45,582	108
სხვა საერთო ხარჯი	34,357	7,927
ბანკის მომსახურების ხარჯი	29,306	13,002
წარმომადგენლობითი ხარჯი	11,719	2,078
უნიფორმების ხარჯი	7,520	3,709
დაზღვევის ხარჯი	2,218	1,730
საკანცელარიო ხარჯები	1,862	1,508
ბარათების ხარჯი	26	6,115
რემონტის ხარჯი	-	93
სულ სხვა ხარჯი	204,215	117,061

ხელმძღვანელობის სახელით:

დავითი ხარაიძე
 დირექტორი

Handwritten signature of Davit Haradze



Handwritten signature of Tamaz Dalolishvili
 თამარ დაღლიშვილი
 მთავარი ზულალტერი

2025 წლის 28 სექტემბერი
 თბილისი, საქართველო
 10-20 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რეზიდ სერვისი“
ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(*ქართული ლარი*)

9. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

სამალანსო ღირებულება	შენიშვნები	მანქანები და მოწყობილობები	საოფისე აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	არამატერიალური აქტივები	სულ
დეკემბერი 31, 2022	1,509,464	126,529	62,518	82,443	5,364	1,786,318
მატება	-	221,269	4,078	18,288	85,107	328,742
კლება	-	-	(4,557)	-	-	(4,557)
დეკემბერი 31, 2023	1,509,464	347,798	62,040	100,731	90,472	2,110,504
მატება	-	129,121	9,867	-	2,102	141,090
კლება	-	-	-	-	-	-
დეკემბერი 31, 2024	1,509,464	476,919	71,907	100,731	92,573	2,251,594
<i>დაგროვილი ცვლილება და გაუფასურება</i>						
დეკემბერი 31, 2022	(10,959)	(35,758)	(33,236)	(51,356)	(4,288)	(135,598)
მიმდინარე წლის ცვლილება	(83,170)	(3,456)	(17,172)	(20,551)	(9,132)	(133,482)
ცვლილების ამორტუნიზება გასცხვისებზე	-	-	-	-	-	-
დეკემბერი 31, 2023	(94,129)	(39,214)	(50,409)	(71,907)	(13,421)	(269,079)
მიმდინარე წლის ცვლილება	(71,179)	(79,108)	(7,583)	(6,662)	(10,871)	(175,404)
ცვლილების ამორტუნიზება გასცხვისებზე	-	-	-	-	-	-
დეკემბერი 31, 2024	(165,308)	(118,322)	(57,992)	(78,569)	(24,292)	(444,484)
<i>ნარჩენი ღირებულება</i>						
დეკემბერი 31, 2022	1,498,505	90,770	29,282	31,087	1,076	1,650,721
დეკემბერი 31, 2023	1,415,335	308,584	11,631	28,824	77,051	1,841,425
დეკემბერი 31, 2024	1,344,156	358,597	13,914	22,162	68,282	1,807,111

ძირითადი საშუალებების პირგანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასხდელი) (ა) მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებელი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობისა და შეღავათების გარეშე; (ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან; (გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და აღდგენის ღირებულების დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რისი ვალდებულებაც საწარმომ აიღო შეძენის მომენტში, ან შემდეგში. კონაიდან მოხლოდნულია გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა გადააქარბებს აქტივისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებას, არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.

ძირითადი საშუალებების ცვეთა ასახულია ზოგადი დეკლარაციის საფუძველზე 175,404 ლარი (2023 წელს - 133,481 ლარი).

ხელმძღვანელობის სახელით:

დავით ხარაიძე
დირექტორი

2025 წლის 28 სექტემბერი
თბილისი, საქართველო
10-20 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინააღმდეგეთაგან ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



თ. ბერიძე
თამარ დაღლეშვილი
მთავარი ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რეზიდ სერვისი“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

10. მარაგი

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	39,300	70,649
ნედლეული და მასალები.	96,443	101,976
ჯამი	135,744	172,625
პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულება	445,394	275,941

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო დებიტორები	2,356,861	2,008,556
გაუფასურების ზარალის თანხა	(507,633)	(328,334)
მოთხოვნები ფინანსური აქტივებიდან	1,849,229	1,680,222
მ.შ. დაკავშირებული მხარეებისაგან მისაღები	611,600	958,326
სხვა მხარეებისაგან მისაღები	1,237,629	721,896
წინასწარი გადახდები	340,962	153,771
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,190,190	1,833,993

საწარმო იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად მომსახურების ვადის განმავლობაში ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დაჯგუფებულია საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებისა და ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი ეფუძნება კლიენტების გადახდების ანალიზს და შესაბამის ისტორიულ საკრედიტო ზარალს, რომელიც ამ პერიოდის განმავლობაში მიღებული. საკრედიტო ზარალის რეზერვი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისათვის განისაზღვრება ქვემოთ წარდგენილი რეზერვის მატრიცის მიხედვით. რეზერვის მატრიცა ემყარება აქტივის ვადაგადაცილების დღეების რაოდენობას.

2023 წლის სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანალიზი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით არის:

2023	ზარალის განაკვეთი	ბრუტო საბალანსო ღირებულება	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	ნეტო საბალანსო ღირებულება
მიმდინარე, რომელიც არ არის გაუფასურებული	0%	164,138	-	164,138
90 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	5%	236,083	11,804	224,279
90-180 დღის ვადაგადაცილება	15%	41,746	6,262	35,484
180-365 დღის ვადაგადაცილება	50%	21,215	10,608	10,608
1 წელზე მეტი ვადაგადაცილება	100%	299,660	299,660	-
ინდივიდუალური შეფასება	0%	1,725,807	-	1,725,807
სულ		2,488,650	328,334	2,160,317

2024 წლის სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანალიზი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით არის:

2024	ზარალის განაკვეთი	ბრუტო საბალანსო ღირებულება	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	ნეტო საბალანსო ღირებულება
მიმდინარე, რომელიც არ არის გაუფასურებული	0%	132,355	-	132,355
90 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	5%	382,924	19,146	363,778
90-180 დღის ვადაგადაცილება	15%	77,969	11,695	66,274
180-365 დღის ვადაგადაცილება	50%	88,277	44,139	44,139
1 წელზე მეტი ვადაგადაცილება	100%	432,652	432,652	-
ინდივიდუალური შეფასება	0%	735,050	-	735,050
სულ		1,849,229	507,633	1,341,596

ხელმძღვანელობის სახელით:

დავითი ხარაიძე
დირექტორი

თამარ დაღელიშვილი
მთავარი ბუღალტერი

2024 წლის 28 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

10-20 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რეზიდ სერვისი“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ახსნილია საკრედიტო ზარალის რეზერვის ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნისთვის გამარტივებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის შემთხვევაში, წლიური პერიოდის დასაწყისსა და დასასრულს შორის

	2024 წელი	2023 წელი
საწყისი გაუფასურება	328,334	30,921
მიმდინარე პერიოდის გაუფასურების ხარჯი	179,299	297,413
ჯგუფური გაუფასურება	507,633	328,334

12. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ფულადი სახსრები სალაროში	2,142	2,168
ფულადი სახსრები ბანკის მიმდინარე ანგარიშებზე	768,757	520,629
სულ ფულადი სახსრები და ეკვივალენტები	770,899	522,797

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	250,082	196,146
სხვა მომწოდებლებისათვის გადასახდელი	250,082	196,146
წინასწარ მიღებული თანხები	31,996	150,571
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	282,079	346,717

14. გაცემული სესხები

გაცემული სესხი წარმოადგენს ეროვნულ ვალუტაში დაკავშირებულ მხარეზე გაცემულ სესხებს, რომლებზეც საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 10 %. სესხი გაცემულია ერთი წლის ვადით და დასაფარია პერიოდის ბოლოს.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული მიღებული სესხები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მოკლევადიანი სესხები	774,700	480,094
მოკლევადიან სესხზე გადასახდელი პროცენტი	49,150	14,599
ჯამი	823,850	494,693

გაცემულ სესხებზე საპროცენტო შემოსავალმა შეადგინა: 2024 წელს 48,945 ლარი (2023 წელს 22,539 ლარი).

15. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა, როდესაც ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

ნაშთები და ოპერაციები კომპანიის დაკავშირებულ მხარეებთან მოიცავს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელ პირებსა და სხვა დაკავშირებულ მხარეებს.

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირები შედგება დირექტორებისგან, ხოლო სხვა დაკავშირებული მხარეები კომპანიებისაგან, რომლებშიც ფლობენ წილებს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირები, ან იკავებენ მმართველობით პოზიციებს.

გაყიდვები დაკავშირებულ მხარეებზე	2024	2023
საქონლის გაყიდვა/მომსახურების გაწევა	292,749	1,070,264
მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებზე		
სავაჭრო მოთხოვნები	611,600	958,326
შესყიდვები დაკავშირებულ მხარეებიდან	2024	2023

ხელმძღვანელობის სახელით:

დავითი ხარაიძე
დირექტორი

თამარ დადელიშვილი
მთავარი ბუღალტერი

2024 წლის 28 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

10-20 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. 19

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რეზიდ სერვისი“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

საქონლის შესყიდვა მომსახურების მიღება

17,855

14,174

სასესხო მოთხოვნები პერიოდის ბოლოს მდგომარეობით

2024

2023

სასესხო მოთხოვნები პერიოდის ბოლოს მდგომარეობით

823,850

494,693

გაცემული სესხები დარიცხული პროცენტი მხარეზე

2024

2023

საპროცენტო შემოსავალი

48,945

22,539

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურების
(კომპენსაციის) მთლიანი თანხა

339,032

396,632

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი. 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთ-უკრაინის საზღვართან დაჯგუფების შემდეგ რუსულმა სამხედრო ძალებმა გადაჭრეს საზღვარი. ხსენებული კონფლიქტი წარმოადგენს უდიდეს სამხედრო შეტაკებას ევროპის სახელმწიფოში მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ. ამ მოვლენამ გამოიწვია ლტოლვილების კრიზისი ევროპაში, რადგან ომის დაწყების შემდეგ მილიონობით უკრაინელმა დატოვა თავისი სამშობლო. უკრაინასთან ომის გამო ბევრმა წამყვანმა სახელმწიფომ და ეკონომიკურმა კავშირმა მწვავე ეკონომიკური სანქციები დაუწესა რუსეთს და აღინიშნა რუსული რუბლის მნიშვნელოვანი გაუფასურება უცხოურ ვალუტასთან მიმართებით, აგრეთვე დაეცა ფასი მნიშვნელოვნად ფასიან ქაღალდებზე რუსულ ბაზრებზე და სხვა ბაზრებზე არსებულ რუსული კომპანიების შემთხვევაში. ბევრმა კომპანიამ თავისი ბიზნესი რუსეთიდან ბელარუსში გადაიტანა. სიტუაცია კვლავ რთულია. მან უკვე გამოიწვია პუმანიტარული კრიზისი და მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზარალი უკრაინაში, რუსეთში და დანარჩენ მსოფლიოში.

კომპანია უკრაინაში არსებულ კონფლიქტს მიიჩნევს არაკორექტირებად მოვლენად, რომელიც ბალანსის შედგენის შემდგომ მიმდინარეობს. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მას არ ექნება საგრძნობი გავლენა კომპანიის საქმიანობაზე.

რადგან კონფლიქტი გრძელდება, ძნელია იმ სრული გავლენის შეფასება, რომელიც მას შესაძლოა ქონდეს კომპანიის საქმიანობაზე, რადგან გაურკვეველია მისი გავლენა ეკონომიკაზე ზოგადად. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება ეკონომიკურ სიტუაციას არსებულ გარემოში.

17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2025 წლის 28 სექტემბერი.

ხელმძღვანელობის სახელით:

დავითი ხარაიძე
დირექტორი



თ. დოჭიძე
თამარ დაღელიშვილი
მთავარი ბუღალტერი

2024 წლის 28 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

10-20 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. 20